



2012 წლის ბოლოსთვის არსებული მდგომარეობა.

სამინისტროს მიერ 2012 წლის ბოლოდან გაწეული საქმიანობის და მიღებული შედეგების სისრულისათვის აუცილებელია გავიხსენოთ თუ რა მდგომარეობა იყო ახალი ხელისუფლების მოსვლის დროს.

2012 წლის ოქტომბრის თვეში ყოველდღიურად მიმდინარეობდა დევნილების უკანონო შეჭრები სახელმწიფო საკუთრების ობიექტებში, ასეთი ობიექტების რიცხვმა თვის ბოლოსათვის მიაღწია 60-ს, ხოლო შეჭრილი დევნილების რიცხვმა გადააჭარბა 6000-ს. დევნილები განიხილებოდნენ როგორც საზოგადოების ყველაზე დაუმორჩილებელი, აგრესიული და ხელისუფლებისადმი არაკეთილგანწყობილი ნაწილი. ნულოვანი იყო ნდობა სამინისტროსა და დევნილებს შორის. სამინისტროს ეზოში მიმდინარეობდა მუდმივი მიტინგები. უწყება იყო სრულიად კორუმპირებული. პირველი ნაბიჯები, რომელიც სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ გადადგა იყო: სამინისტრო გაიხსნა პირველ რიგში დევნილებისთვის, საზოგადოებისთვის.

- **დევნილთა მიღების დღეების დაწესება; კომუნიკაცია დევნილ მოსახლეობასთან მათთან ღია და გამჭვირვალე ურთიერთობა.**

მინისტრმა 2012 წლის 15 ოქტომბრიდან დევნილებისთვის მიღების დღეები დააწესა. მინისტრი და მოადგილეები პირადად ხვდებიან დევნილებს. მინისტრის მიღების დღეა სამშაბათი. დღემდე მინისტრი და მოადგილეები 11 000 -ზე მეტ დევნილს შეხვდნენ, უშუალოდ მოისმინეს მათი პრობლემები და მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, რამაც სამინისტროს მიმართ ნდობა დაუბრუნა დევნილებს.

მინისტრი, მოადგილეებთან და დევნილთა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად პერიოდულად სტუმრობს თბილისსა და რეგიონებში კომპაქტურ ჩასახლებებს



• განსახლების პროგრამა და შედეგები.

დევენილებთან უშუალო ურთიერთობით გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტები:

პრობლემა N1 - გრძელვადიანი საცხოვრებლის უქონლობა;

პრობლემა N2 - არასაკმარისი შემოსავლები, დაუსაქმებლობა;

პრობლემა N3 - ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის ფსიქოლოგიური და ფსიქიკური პრობლემები;

პრობლემა N4 - განათლების ხელმისაწვდომობა (განათლების საფასურის გადახდის პრობლემა).

სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით (არსებული მონაცემები. მიმდინარეობს ხელახალი რეგისტრაცია) 90 000 დევნილი ოჯახიდან (სულ 271 000 დევნილი) საცხოვრებელი ბინით გრძელვადიანად უზრუნველყოფილი იყო 23 973 ოჯახი, ფულადი კომპენსაცია ბინის სანაცვლოდ მიღებული ჰქონდა 5 155 ოჯახს.

58 575 ოჯახი საჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან საბინაო უზრუნველყოფას, მათ შორის 35 000 -ზე მეტი უკიდურესად მწვავედ განიცდის ამ პრობლემას.

სამინისტროს ბიუჯეტი გაორმაგდა 25 მილიონიდან გახდა 50 მილიონი ლარი.

განვლილ პერიოდში გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა დამატებით 1441 ოჯახი, 5000-ე მეტი დევნილი

რეგიონი	რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა	რეაბილიტირებული ბინების რაოდენობა	შესყიდული სახლების რაოდენობა	გამოსყიდული ბინების რაოდენობა	სულ
თბილისი	6	275	24	94	393
ქვემო ქართლი	4	182	20	0	202
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	107	16	0	123
აჭარა	1	51	0	0	51
იმერეთი	14	525	7	0	532
შიდა ქართლი	4	133	3	0	136
კახეთი	1	4	0	0	4
სულ:	30	1277	70	94	1441

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	ბინების რაოდენობა
---	---------------------	-----------	-------------------

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა სამინისტრო



1	ყოფილი საწარმოო შენობა	თბილისი, ჯიქიას ქ. N5	48
2	ყოფილი სკოლა	თბილისი, დოღბერიძის ქ. N3	33
3	ყოფილი სკოლა	თბილისი, გარდაბნის გზატ. N6	50
4	ყოფილი ლიცეუმი	თბილისი, ბაბუციძის ქ. N12	20
5	ყოფილი №3 სამკურნალო ცენტრი	თბილისი, ბაქოს ქ. N1	39
6	ყოფილი სომხური სკოლა	თბილისი, ყვარლის ქ. N101	85
7	ყოფილი 35-ე ბაგა-ბაღი	რუსთავი, მე-12 მ/რ.	22
8	ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ	რუსთავი, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ	15
9	ყოფილი ბაღი	მარნეული, 20 იანვრის ქ.	24
10	ყოფილი საავადმყოფო	თეთრიწყერო	121
11	ყოფილი სასტ, „აუიეტი“	ფოთი, მშვიდობის ქ. N12ა	104
12	ბენზე (კორპუსების I სართ.)	ბათუმი, აფხაზეთის ქუჩა	48
13	ყოფილი პოლიციის შენ.	ქუთაისი, დადიანის ქ. N3	18
14	მანსარდი	ქუთაისი, ჭვჭავაძის N58	6
15	ყოფ. მუსიკალური სკოლა	ქუთაისი, ჭვჭავაძის N58	68
16	ყოფილი საავადმყოფო	ზესტაფონი, უზნაძის ქ. N142	65
17	ყოფილი საავადმყოფო	ზესტაფონი, უზნაძის ქ. N142, კორპ. 2	12
18	სტომატოლოგიური კლ.	ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N6	28
19	სტომატოლოგიური კლ.	ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N6	29
20	ყოფ. პროფ. ტექნიკუმი	ვანი, სოლომონ მეორეს ქ. N64	40
21	ყოფ. სტატისტიკა	წყალტუბი, 9 აპრილის ქ.	17
22	ყოფ. საავადმყოფო	წყალტუბო, ერისთავის ქ.	49
23	კოტეჯები	წყალტუბო	35
24	ტყიბული	ტყიბული, გამსახურდიას ქ. N40	35
25	ყოფილი საავადმყოფო	თერჯოლა, რუსთაველის ქ. N69	44
26	ყოფილი საავადმყოფო	სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N92	79
27	ს/ბაღი N7	გორი	28
28	ს/ბაღი N18	გორი,	13
29	ყოფილი საავადმყოფოს შენობა	ხაშული, რუსთაველის ქ.	36
30	ყოფილი ტექნიკუმი	ქარელი, ვაჟა-ფშაველას N117	56
სულ:			1267

წლის ბოლომდე დარჩენილ დროში შესაძლებელია დასრულდეს და განსახლებულ იქნას 90 ოჯახი თემქაზე და გამოსყიდულ იქნას 105 ოჯახისთვის 3 კორპუსი ჭვჭავაძის 37-ში.

მიმდინარე წელს დაწყებულია და მომავალი წლის პირველ ნახევარში დასრულდება და განსახლდება 1877 ოჯახი.



რეგიონი	სარეაბილიტაციო და მშენებარე ობიექტების რაოდენობა	რეაბილიტირებული ბინების რაოდენობა	მშენებარე ბინების რაოდენობა	ბინების რაოდენობა სულ
თბილისი	3	128	0	128
ქვემო ქართლი	8	293	0	293
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	83	536	619
აჭარა	1	12	0	12
იმერეთი	6	479	0	479
შიდა ქართლი	4	352	0	272
სამცხე-ჯავახეთი	2	74	0	74
სულ:	28	1421	536	1877

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	რაოდენობა
1	ყოფილი პოლიციის შენობა	თბილისი, გლდანი, მე-3 მ/რ	90
2	ყოფილი 142-ე სკოლა	თბილისი, თემქა. მე-3 მ/რ, IV კვ.	14
3	ყოფილი ლიცეუმი	თბილისი, სამგორი, ბაბუციძის 12	24
4	რუსთავი, ყოფილი გპი-ის შენობა	რუსთავი, რუსთაველის ქ. 16	69
5	ვაზიანი, სამხედრო დასახლება	ვაზიანის დასახლება, 1-4 კორპუსი	64
6	ვაზიანი, სამხედრო დასახლება	ვაზიანის დასახლება, 2-3 კორპუსი	80
7	ვაზიანი, სამხედრო დასახლება	ვაზიანის დასახლება, 5-6 კორპუსი	80
8	ყოფილი ბადის შენობა	რუსთავი, დავით გარეჯის ქ. 4	15
9	ყოფ. სააფთიაქო სამმართველო	ზუგდიდი, ბერანძის ქ. N5	74
10	ფიროსმანის ქ. N7	ფოთი, ფიროსმანის ქ. N7	9
11	მახინჯაური	ბათუმი, მახინჯაური, თბილისის ქ. N41	12
12	ყოფილი სკოლა	ქუთაისი, ნიკვას ქ. N21	96
13	ავტომშენებლის ქ.	ქუთაისი, ავტომშენებლის ქ.	65
14	ყოფილი სკოლა	ქუთაისი, ჭავჭავაძის 58	68
15	შპს „ჯანმრთელობა“	ხონი, სოლომონ მე-2 ქ. 21	108



16	სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამს	ხონი, სოლომონ მე-2 ქ. 21	33
17	სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამს	ბაღდადი, კახიანის ქ. 84	109
18	სამშობიარო სახლი	ხაშური, სააკაძის 2	69
19	კარკასი	ხაშური, რუსთაველის 38	64
20	ყოფილი საავადმყოფო	ხაშური, რუსთაველის 38	48
21	რაიონული საავადმყოფო	კასპი, სააკაძის ქ. 110 (სტალინის ქ)	91
22	ყოფილი სკოლაა	ხაშური, რუსთაველის ქ.	60
23	სამშობიარო	ბორჯომი, ვაშლოვანის ქ. #2	13
სულ:			1341

შესყიდულია ინდივიდუალური სახლები, მათ შორის სოფლებში საკარმიდამო ნაკვეთებით

რეგიონი	2012 წელი	2013 წელი
თბილისი	0	24
კახეთი	0	6
ქვემო ქართლი	0	14
სამეგრელო	0	16
გურია	0	1
იმერეთი	0	5
რაჭა-ლეჩხუმი	0	1
შიდა ქართლი	0	3
ჯამი	0	70

3. კერძო მესაკუთრეებისაგან გამოსყიდული კოლექტიური ცენტრები:

წელი	ობიექტი	მისამართი	ოჯახი	თანხა აშშ დოლარში
2012	0		0	0
2013	ს/ს „ტექნოსერვისი“	თბილისი, თ. ერისთავის ჩიხ. №1	21	210 000
	ს/ს „ავტომომარაგება“	თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. №3	27	152 825
	ს/ს „კარტოგრაფიის“	თბილისში, მოსულიშვილის ქ.№1	46	419 647,5
სულ	4		94	782472.5

- ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება დევნილთა განსახლების პოლიტიკის მიმართ. დევნილთა განსახლება ხდება იქ, სადაც



ისინი ინტეგრირდნენ განვლილი 20 წლის მანძილზე. მათ შორის დედაქალაქ თბილისში. ამისათვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს მთავრობამ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012 – 2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის N 1162 განკარგულებაში შეიტანა ცვლილება ქ. თბილისში და საქართველოს რეგიონებში დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. ხოლო სამინისტრომ ეკონომიკის სამინისტროსგან მოითხოვა და მიიღო მიწის ნაკვეთები და დააპროექტა ახალი მშენებლობები

წელი	გაცემული ნებართვები	მდებარეობა	ბინების რაოდენობა	
2012	0	0	0	
2013	5	თბილისი	ვარკეთილი	4498
			ფონიჭალა	2087
			დიდი დილომი	2000
		ქუთაისი		1728
		ბათუმი		1470
სულ				11783 ბინა

4. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი და კრიტერიუმები:

სამინისტროში არ არსებობდა განსახლების რაიმე წესი, ნორმა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, სამინისტროში მომზადდა და გამოიცა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთ, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხორციელდება აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. ეს წესი ადგენს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცედურებს, ასევე ამავე ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და



საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართების განაწილების წესს. ამასთან, ითვალისწინებს შშმპ დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები დაკმაყოფილდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ფართის კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე გადაცემის საკითხსაც.

ზემოხსენებული ნორმატიული აქტის გამოცემამდე, არ არსებობდა ერთიანი ხედვა და მიდგომა, ასევე არანაირი სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევდა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესს. აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღებით, ხსენებული პროცესი გახდა გამჭვირვალე, ჩამოყალიბდა ერთიანი მიდგომა და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება მიიღოს როგორც სრული ინფორმაცია, ასევე გაასაჩივროს სამინისტროს გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით. პროცესში ჩართულია განცხადების მიღების, შეფასების და დაზუსტების ქვეკომისიები. გადაწყვეტილებებს ღებულობს დიდი კომისია.

აღნიშნული წესის შემოღების შემდგომ მიღებულ იქნა **14** ქალაქსა და რაიონში **10 824** განაცხადი და უკვე შეფასებულია **7076** განაცხადი და კითხვარი.

სტატისტიკა ქალაქების მიხედვით:

N	ქალაქი	შემოსული განაცხადის რაოდენობა	შეფასებული განაცხადების რაოდენობა
1	ტყიბული	34	34
2	სამტრედია	149	149
3	წყალტუბო	303	303
4	ქუთაისი	1671	988
5	ვანი	53	53
6	თერჯოლა	81	81
7	ზესტაფონი	207	207
8	რუსთავი	872	693
9	მარნეული	32	32
10	ქარელი	55	55
11	ბათუმი	197	197
12	ფოთი	85	85
13	ზუგდიდი	448	
14	თბილისი	6637	4199
სულ:		10824	7076

5. ყოფილი კოლექტიური ცენტრების ამხანაგობების ქ. თბილისის მერიასთან სამინისტროს თანადაფინანსებით განხორციელებული ობიექტები



თანადაფინანსება

2012

2013

ამხანაგობა	არცერთი	ობიექტი	ოჯახების რაოდენობა
		18	3981

მათ შორის კონკრეტულად:

N	ობიექტის დასახელება	შესრულებული სამუშაოს აღწერილობა	დეგნილი ოჯახების რაოდენობა
1	ქ. თბილისი, ბერიაშვილის ქ. #6	სარემონტო სამუშაოები	132
2	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #3	სარემონტო სამუშაოები	340
3	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. #7ა	სარემონტო სამუშაოები	144
4	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. 42-44	წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, I, II და III სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები	350
5	ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #5	წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	928
6	ქ. თბილისი, გლდანის მე-8 მკრ. (ყოფ. #148 ბაგა-ბადი)	წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, სახურავის რეაბილიტაცია	65
8	ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. 18	სარემონტო სამუშაოები	202
9	ქ. თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. 1ა	სარემონტო სამუშაოები	49
10	ქ. თბილისი, ალექსეევკის სამხედრო დასახლ.	სარემონტო სამუშაოები	196
11	ქ. თბილისი, მნათობის ქ. #75	გამაგრებითი და ბრტყელი სახურავის მოწყობის სამუშაოები	44
12	ქ. თბილისი, კვაჭანტირაძის ქ. N7	ბრტყელი სახურავის მოწყობის სამუშაოები	54
13	ქ. თბილისი, გახოკიძის ქ. N6	ბრტყელი სახურავის მოწყობის სამუშაოები	53
14	ქ. თბილისი, კაიროს ქ. N26-34	ბრტყელი სახურავის მოწყობის სამუშაოები	46
16	ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მოწენიძის ქ. N4	სარემონტო სამუშაოები	398
17	ქ. თბილისი, ართვინის ქ. N53	ქანობიანი სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	267
18	ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-4 მ/რ, კორპ. N55	წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	713
	დეგნილთა რაოდენობა		3981

6. სამინისტროს მიერ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა:

რეაბილიტირებული

2012

2013



ობიექტები	გარემონტდა	გარემონტდა	დაგეგმილია მიმდინარეობს და
კარკასული ტიპის	6 ობიექტი	30 ობიექტი	41 ობიექტი
მოქმედი კოლექტიური ტექნიკური შემოწმება დასრულდა	18	54	31
		150 ობიექტზე	

სადაც ცხოვრობს 11470 დევნილი

დევნილთა განცხადებების საფუძველზე რეაბილიტირებული ობიექტების ნუსხა

N	ობიექტის დასახელება	შესრულებული სამუშაოს აღწერილობა	დევნილების რაოდენობა
1	მცხეთის მუნიციპალიტეტი. სოფ. ფრეხეთი	სოფელში მიმავალი გზის აღდგენის სამუშაოები	893
2	ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N67	შენობის ავარიული უბნების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები	97
3	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთი	N170 კოტეჯის იატაკის შეცვლის სამუშაოები	5
4	წყნეთი, დ. გურამიშვილის ქ. აგრომრეწვის დ/ს	კორპ. N4-სა და N5-ში მდებარე შენობების გადახურვის სამუშაოები	140
5	ქ. თბილისი, ვარკეთილის მე-3 მ/რ, N185 სკოლა	სანიღვრე და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები	255
7	ქ. თბილისი, ბაქოს ქ. N1	ელ. სამონტაჟო სამუშაოები	71
8	ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. N35	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	105
9	ქ. რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ. N1	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	69
10	ქ. თბილისი, ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-3 კვარტალი, N164 ბაღი	წყალკანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	113
11	ქ. თბილისი, გორგასლის მე-3 შესახ. კურორტოლოგიის ინსტიტუტი, მე-3 კორპ.	წყალკანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	20
12	ქ. წალენჯიხა, დაბა ჯვარი, სალარიძის ქ. N1	წყალსაწრეტების მოწყობის სამუშაოები	61
13	ქ. წალენჯიხა, დაბა ჯვარი, კოსტავას ქ. N26	საკვამურების მოწყობის სამუშაოები	206

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო



14	ქ. წალენჯიხა, დაბა ჯვარი, კოსტავას ქ. N10	წყალსაწრეტების მოწყობის სამუშაოები	103
15	ლაგოდეხი, ჭავჭავაძის ქ. 102, სკოლა-ინტერნატი	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	91
16	ქობულეთი, თავისუფლების ქ. N19, სანეპიდსადგური	საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	48
17	ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა N22	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1300
18	ქ. გორი, მეჯვრისხევის ქ. N24ბ, N2 ბაღი	წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	42
19	ქ. თბილისი, ბაბუციძის ქ. N12	წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	41
20	ქ. თბილისი, მეველეს ქ. N17, ელევატორმშენი	სახურავისა და წყალკანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები	66
21	ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N197	საკვამურების მოწყობის სამუშაოები	204
22	ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, შპს "ერთობა"	მაღალი ძაბვის კაბელის გამოცვლის სამუშაოები	105
23	ქ. თბილისი, კაიროს ქ. N20	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	23
24	ქ. თბილისი, ძმები გარიშვილების ქ. N7	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	82
25	კახეთის გზატკ. 25-ე კმ. სამთო მექანიკის ინსტიტუტი	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	24
26	ქ. თბილისი, კასკადის ქ. N41, ზაჰესის გამგეობის შენობა	სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	33
27	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #37 ,	წყალ-კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები	97
28	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. #44	ხანძრით დაზიანებული შიდა ფართების სარეაბილიტაციო სამუშაოები	190
29	ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. #4	გარე საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	392
30	ქ. ფოთში, (ყოფ. სასტუმრო "აიეტი")	დემონტაჟის სამუშაოები	195
31	ხონი, სამხედრო დასახლება, რვა კორპუსი	სახურავების რემონტი	1350
32	წყალტუბოში 5 ყოფ სანატორიუმი,	სახურავების რემონტი	967

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო



33	ქ.ფოთი. ტაბიძის ქ. #12 ყოფ. პროფ.სასწ.	იატაკის შეცვლა	124
34	მარშალ გელოვანის N4, აფხ. მე-2 სკოლა,	შესასვლელის რეკონსტრუქცია	731
35	ჭიათურაში, ჭავჭავაძის N25	საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	129
36	ქ. ზუგდიდი. გამსახურდიას ქ. # 208	ყოფ. საავადმყოფოს სამზარეულოს სახურავის რეაბილიტაცია	362
37	ქ. თბილისი, კაიროს ქ. N22	სახურავის რეაბილიტაცია	224
38	ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N25ა.	სახურავის რეაბილიტაცია	41
39	ქ. თბილისი, ლოღობერიძის N47,	სახურავის რეაბილიტაცია	59
40	ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. N39. შენობა N1, N2	სახურავის რეაბილიტაცია	35
41	ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის N30. შენობა N1, N2	სახურავის რეაბილიტაცია	91
42	ორხევი "საქტრანს" ეროვნული ბანკის საცავთან	წყალ-კანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	33
43	ქ. თბილისი, საყვირის N2	გარე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	380
44	აეროპორტის დას. რკინიგზის ჩიხი, ადმ. შენობა	წყალ-კანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	20
45	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ. N95	სახურავის რეაბილიტაცია	61
46	ქ. თბილისი, გუდამაყრის N2ა ყოფ. ნევროლოგია,	სახურავის რეაბილიტაცია	139
47	ქ. თბილისი, გუდამაყრის N2ა ყოფ. კარდიოლოგია,	გარე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	39
48	თბილისის ზღვა, კადეტთა კორპ. N2.	სახურავის რეაბილიტაცია	33
49	თბილისის ზღვა, სასტ. ოქროს საწმისი	სახურავის და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გამაგრების სამუშაოები	406
50	ხობი, სოფ. ხეთა, ყოფ. პროფტექნიკუმის დასახლება	სეპტიკის მოწყობა	132
51	წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა	გარე ელ-მომარაგების სამუშაოები	899
52	ბათუმში, მელიქიშვილის მე-3 ჩიხი,	წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	47



53	ზუგდიდი, ფაიფურის დას. (კარავი N2)	სახურავის რეაბილიტაცია	20
54	ქ.თბილისი,კაიროს ქ.N26	6.0 მ.მალის დემონტაჟი და ვერტიკალური გეგმარება	77
დევნილთა რაოდენობა :			11470

7. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა

პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად (1 ლარდ) საცხოვრებელი ფართები დაუკანონდათ და გადაეცათ კერძო საკუთრებაში:

რეგიონები	ობიექტების რაოდენობა	ოჯახების რაოდენობა
თბილისი	107	1045
იმერეთი	12	98
შიდა ქართლი	12	60
ქვემო ქართლი	8	53
მცხეთა მთიანეთი	4	37
სამეგრელო	11	226
აჭარა	5	115
სულ	159	1634

8. დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით ფინანსური დახმარება გაეწიათ:

ფინანსური დახმარება	2012	2013	
		ოჯახების რაოდენობა	თანხის ოდენობა
ერთჯერადი ფულადი დახმარება	0	1811	299 067
ქირის თანხით უზრუნველყოფა	0	160	158 050
სულ	0	1971	457 117

9. დევნილთა რეგისტრაცია 2013 წ.

- საქართველოს მთავრობის განკარგულების N 794 საფუძველზე, მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან - 27 დეკემბრამდე მიმდინარეობს იძულებით



გადაადგილებულ პირთა - დევნილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) პროექტი, რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 12 სარეგისტრაციო კომისიის მიერ საქართველოს ყველა რეგიონში.

- რეგისტრაციის პროცედურას და რეგისტრაციის წესი რეგულირდება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N 287 ბრძანება „იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“
- პროექტის ფარგლებში მოპოვებულ და განხორციელებულ იქნა შემდეგი საკითხები:

I. დევნილი ოჯახების და მათი ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა;

II. მათი ფაქტიური მისამართების დადგენა;

III. დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიული გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება;

IV. დევნილთა სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა;

V. დევნილთა ელექტრონული მონაცემთა ბაზის განახლება და ახალი ინფორმაციის ფორმირება;

VI. გაუმჯობესებული დევნილის მოწმობების გაცემა;

VII. კანონის დარღვევით მიღებულ დევნილის სტატუსის მქონე პირთა იდენტიფიცირება;

- დევნილთა 2013 წ. რეგისტრაციის დაწყებისთვის დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, სულ დევნილად რეგისტრირებული იყო 272 000 პირი, 21 დეკემბრის მდგომარეობით:

სულ რეგისტრაცია გაიარა (დარეგისტრირდა) 233 090 დევნილმა:



სულ რეგისტრაცია გაიარა (დარეგისტრირდა) 233 090 დევნილმა:

1	თბილისი	81162
2	აჭარა	5 864
3	გურია	444
4	იმერეთი	23182
5	კახეთი	1394
6	მცხეთა-მთიანეთი	10609
7	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	804
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	79923
9	სამცხე-ჯავახეთი	2118
10	ქვემო-ქართლი	11378
11	შიდა-ქართლი	16312

- დაფიქსირდა 1200-ზე მეტი კანონის დარღვევით მიღებულ დევნილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა.
- სამინისტროს ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 მაისის №367 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. სააგენტოს მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიური ინტეგრაცია მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის გზით.
- სამინისტროში შემუშავების პროცესშია „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტრატეგია“, რაც განსაზღვრავს დევნილთა საარსებო წყაროებით მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს.

10. ზამთრის პროგრამა დევნილთათვის

სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მტავრობის განკარგულების შესაბამისად 70 001 ქალაზე ნაკლები რეიტინგული ქულის მქონე დევნილ ოჯახებს, რომელთა რაოდენობა 23 000-ზე მეტია, „ლიბერთი ბანკის მეშვეობით“ გადაეცათ 200



ლარიანი ვაუჩერი ელ.ენერჯისა და გაზის მოხმარებული რაოდენობის საფასურის დასაფარავად, რაზედაც ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4.7 მლნ. ლარი. დამატებით, 24 დევნილ ოჯახს, რომლებიც ცხოვრობენ მკაცრი ზამთრის ადგილებში, გაეწია 150 ლარის ფინანსური დახმარება შემის შესაძენად.

2013 წელს სამინისტროს მიერ განხორციელებული სიახლეები:

11. დევნილთა შესახებ კანონპროექტი:

სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, დანიის ლტოლვილთა საბჭო და საზოგადოებრივ პროგრამების ფონდი.

კანონპროექტი შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო ნორმებთან, საქართველოს კანონმდებლობასთან და ქვეყანაში არსებულ დღევანდელ რეალობასთან და დევნილებთან მიმართებაში არსებულ სახელმწიფო პოლიტიკასთან.

კანონპროექტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ცნება. კანონის პროექტით წარმოდგენილი დევნილის ცნებით კანონის დაცვის სფეროში ხვდება ყველა ის პირი, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ ამ კანონის დაცვის სუბიექტები იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ ცნებაში აღნიშნული მიზეზების გამო იძულებული გახდება დატოვოს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

კანონპროექტში ასახულ სხვადასხვა სიახლეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დევნილებთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის დანერგვა. უქმდება ისეთ ტერმინები როგორცა „დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი“ და „დევნილთა კერძო განსახლების ობიექტი“ რაც უზრუნველყოფს დევნილთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დევნილის შემწეობის ოდენობისა და კომუნალური ხარჯების ანაზღაურებისას. შესაბამისად, დაგეგმილია ყველა დევნილზე გაიცეს დევნილის შემწეობა 45 ლარის ოდენობით, ნაცვლად 22 და 28 ლარისა. ამასთან, ყველა დევნილი თვითონ



უზრუნველყოფს კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, რაც მათი ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ყველა შედეგისათვის მადლობა საქართველოს მთავრობას: ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროებს.

დევნილთა მეგობართა კლუბი

დევნილთა დასახმარებლად სამინისტროში „დევნილთა მეგობართა კლუბი“ დაარსდა, რომელშიც 31 ორგანიზაციაა გაერთიანებული. თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე „დევნილთა მეგობართა კლუბში“ გაერთიანებული ორგანიზაციები დევნილებს გარკვეულ დახმარებასა და შეღავათიან მომსახურებას უწევენ.

შპს „საქ. საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი“ დევნილებისთვის 20%-იან ფასდაკლებას ახორციელებს.

შპს სტომატოლოგიური კლინიკა „New Dent“-ი დევნილებს უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევს.

სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი დევნილ ბავშვებს სპექტაკლებზე შეღავათიან ფასში დასწრების საშუალებას აძლევს.

ყველა დევნილი, რომელიც წელს „საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის“ , შპს „ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა“ და საპატრიარქოსთან არსებულ „ანდრეა პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ სტუდენტი გახდა, სწავლის საფასურზე 200 ლარით ნაკლებს გადაიხდის. გარდა ამისა, 34 დევნილ სტუდენტს, სამინისტროს შუამდგომლობით, ერთი წლის სწავლის გადასახადი სრულად დაუფინანსდა (აქედან: ორგანიზაცია HIAS-მა -23, შ.პ.ს „გალფმა“ – 3, სს „ვისოლი“-მ - 4 და სს „ზედაზენმა“-მა -4).

„დევნილთა მეგობართა კლუბში“ გაერთიანებული სამედიცინო დაწესებულებები დევნილებს უფასო, სრულფასოვან სამედიცინო გამოკვლევებს უტარებენ. ქუთაისში, ზუგდიდსა და სენაკში ყველა ასაკობრივი ჯგუფი გამოიკვლიეს, ხოლო ბორჯომსა და თელავში 16 წლამდე დევნილები. გამოკვლევის ფარგლებში ქუთაისში 2 გადაუდებელი ოპერაცია ჩატარდა.



ჰუმანიტარული ტვირთი „ჰიპი“

მინისტრი დავით დარახველიძე გერმანელ ბიზნესმენ კლაუს ჰიპს შეხვდა. ბიზნესმენი დევნილების მდგომარეობით დაინტერესდა და მათ დასახმარებლად სამინისტროსთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

სამედიცინო ჰუმანიტარული ტვირთი (მრავალფუნქციური საწოლები, ეტლები და სხვა) კომპანია „ჰიპისგან“ სამინისტრომ 1 წლის განმავლობაში ორჯერ მიიღო. გერმანიიდან შემოსული ჰუმანიტარული ტვირთის ნაწილი სოციალურად დაუცველ დევნილებსა და უნარშეზღუდულ პირებს (ეტლები 8 ოჯახისათვის), ნაწილი კი ქვეყნის მასშტაბით 5 კლინიკას გადაეცა. ბათუმის კლინიკამ 32 საწოლი და გასტროსკოპიის დანადგარი მიიღო. ქუთაისის „ო. ჩხობაძის სახელობის სამკურალო-სარეაბილიტაციო კლინიკურ ცენტრისათვის“ სამინისტრომ 15 საწოლი გამოყო. სენაკში, კლინიკა „სენამედს“ გადაეცა 9 საწოლი.

ამჟამად, კომპანია „ჰიპისგან“ ჩამოსულია ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდება:

სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში მცხოვრებ 50 დევნილ ოჯახი ტანსაცმელსა და საოჯახო ინვენტარს მიიღებს. სამედიცინო ინვენტარი კი გორის ცენტრალურ საავამდყოფო „გორმედსა“ და ქუთაისის „ო. ჩხობაძის სახელობის სამკურალო-სარეაბილიტაციო კლინიკურ ცენტრს“ გადაეცემა.

დასაქმება

„განსახლების პროგრამით“ მიმდინარე წლის განმავლობაში, სამინისტროს შუამდგომლობით, სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებში 300-მდე დევნილი დასაქმდა: შ. პ. ს. „ს.ე.ნ“-ი - 40 დევნილი, შ. პ. ს. „ბლოკ-ჯორჯია“ - 80 დევნილი, შ. პ. ს. „N.B.G“ - 100 დევნილი, შ. პ. ს. „აგრომშენსერვისი“ - 25 დევნილი, შ. პ. ს. „ნიუსკონსტრაქშენი“ - 30 დევნილი, ს.ს „ტრანსშენი“- 15 დევნილი.

დასასრულს უახლოვდება სამინისტროში დევნილთა და ლტოლვილთა მისაღები ცენტრის სამუშაოები. მისაღები ცენტრი „ერთი ფანჯრის“ პრინციპით დევნილთათვის მოსახერხებელ და კომფორტულ პირობებში უზრუნველყოფს ყველა სახის მომსახურებას, რაც სამინისტროს კომპეტენციაშია.

- ლტოლვილები:



1193 უცხოელმა(რაც დაახლოებით 20-ჯერ აღემატება წინა წლების მონაცემებს), მომართა სამინისტროს თავშესაფრის მოთხოვნით. განხილულ იქნა 870 საქმე, საიდანაც თავშესაფარი მიენიჭა 79 პირს.

მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების ცენტრში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოეწყო საბავშვო მოედანი, ფუნქციონერება დაიწყო ქართული ენის შემსწავლელმა კურსებმა.

- **რეპატრაცია:**

სამინისტრომ დაასრულა 216 განცხადების განხილვა მუსულმანი მესხებისთვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ, აქედან 2013 წლის 7 მაისს სტატუსი მიენიჭა 189, წლის ბოლომდე სტატუსი კიდევ 122- მიენიჭება. უარი ეთქვა 4 განმცხადებელს(2013 წლის 5 ივლისი).

- **მიგრაცია:**

სამინისტროში მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა „მობილურობის ცენტრი“. იგი მოემსახურა 1652 ბენეფიციარს, კერძოდ: პროფესიული გადამზადების კურსები 258- ბენეფიციარი, ბიზნეს ტრენინგები- 258, ბიზნეს გეგმების დაფინანსება- 69 ბენეფიციარი, დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილდა -13, ზოგადი კონსულტაცია გაეწია 1004 ბენეფიციარს.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამ რეგიონალურ სამმართველოში (ზუგდიდი, გორი, ქუთაისი) განაგრძობს მუშაობას „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ დახმარებით შექმნილი „მიგრანტთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები“ რომელთა ძირითადი ფუნქციაა არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ და „მიგრანტთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების“ ერთობლივი მუშაობით შეიქმნა გზამკვლევები პოტენციურ მიგრანტთათვის გერმანიის, ჩეხეთის, რუმინეთის, ბელგიის, პოლონეთისა და შვედეთის მიმართულებით.

სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პირველადი ანკეტირება ჩაუტარეს რეადმისიის დაფუძველზე ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს 563 მოქალაქეს.

- **სტიქიით დაზარალებული პირები:**



2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში გამოყოფილი თანხებით 23 დეკემბრის მდგომარეობით შესყიდულია 33 საცხოვრებელი სახლი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების განსახლების მიზნით.

- მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია ამუშავებს კანონპროექტს „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ“ (2012 წლის 18 დეკემბრის N164-ე ბრძანება)
- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება მიღებულია და შესულია ძალაში.

საერთაშორისო ურთიერთობები

- მინისტრმა და მინისტრის მოადგილემ მონაწილეობა მიიღეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის 64-ე სესიის მუშაობაში.

სესიაზე „საქართველოში დევნილთა მდგომარეობის შესახებ“ სიტყვით გამოვიდა მინისტრი.

საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა გლუკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობაზე. მიმდინარეობს გაწვევრიანების პროცედურები.

ორჯერ გაიმართა მინისტრისა და უმაღლესი კომისარის პირისპირ შეხვედრა, რომლებზედაც განხილული იყო ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების საკითხები.

- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)



გლუკი-ს ხელშეწყობით სამინისტროში მოწვეულ იყვნენ ექსპერტები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი უძრავი ქონების, რესტიტუციის საკითხზე. ასევე დევნილთა რეგისტრაციის ჩატარების საკითხებში. გლუკი-ს მიერ ხორციელდება სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი, დევნილთა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში.

- **ევროკავშირი(EU)**

ევროკავშირის დაფინანსებით ფოთში შენდება 7 ახალი კორპუსი 280 ოჯახისთვის, იგეგმება 5 მილიონი ევროს გამოყოფა დევნილთა საარსებო წყაროების მოძიების ხელშეწყობის პროექტების განხორციელების მიზნით.

- **აშშ-ის განვითარების სააგენტო (USAID)**

USAID-იმ ამ ეტაპზე დაასრულა 10 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები იმერეთის რეგიონში 400 - მდე ოჯახისთვის და 2014 წლიდან იწყებს 8 ახალი ობიექტის რეაბილიტაციას, სადაც 200 - მდე დევნილი ოჯახი განთავსდება. ასევე განხორციელდება 35 კოლექტური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

- **გერმანიის განვითარების ბანკი(KFW)**

გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების საკრედიტო ბანკის დაფინანსებით ზუგდიდში დევნილებისათვის მიმდინარეობს სახლების მშენებლობა. შენდება 8 კორპუსი, სადაც 256 დევნილი ოჯახი(1000მდე ადამიანი)იცხოვრებს. მშენებლობა 2014 წლის ოქტომბერში დასრულდება.

- **საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებას ახდენს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო.**

- **მსოფლიო ბანკი (World Bank)**

მსოფლიო ბანკთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები 2 მლნ დოლარის გამოყოფის თაობაზე საარსებო წყაროების მოძიების ხელშეწყობის პროექტების განხორციელებისა და სსიპ-ის ოპერაციონალიზაციის მიზნით. ასევე იგეგმება 30 მილიონი აშშ დოლარის გრძელვადიანი იაფი კრედიტის გამოყოფა. დევნილთა საარსებო წყაროების პროექტებისათვის.



- **გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (UN FAO)**

ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით (2 მლნ ევრო) ორგანიზაცია სამინისტროსთან თანამშრომლობით დევნილთა საარსებო წყაროების მოძიების ხელშეწყობის პროექტს ახორციელებს.

- **წითელი ჯვრის**

საერთაშორისო კომიტეტის ფარგლებში მუშობს ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომლის მიზანს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიება წარმოადგენს. ასეთი შეხვედრა ერევანში (2-3 დეკემბერი) უკვე მესამედ გაიმართა, მანამდე იყო შეხვედრა ხორვატიის ქალაქ ზაგრებში.

2013 წელს ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფის ფარგლებში, წითელი ჯვრის დახმარებით, მოხდა 2 ცხედრის იდენტიფიცირება და აფხაზეთიდან გადმოსვენება, მშობლიურ მიწას მიაბარეს რამაზ გაჩეჩილაძე(ახალციხიდან) და გიორგი ფოფხაძე(ფოთიდან). მიღწეულია შეტანხმება ორმხრივი მექანიზმის ფარგლებში ბაბუშერის და გუმისთის სამარხების გახსნის და ცხედრების გადმოსვენების შესახებ.

- **კანონიერების დაცვა - 15 სისხლის სამართლის საქმე**

2012წლის ოქტომბრიდან დღემდე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, შემდგომი გამოძიების მიზნით, მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა 15 საქმე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.



საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012-2013წწ. პერიოდში გადაგზავნილი
აუდიტორული მასალები და ანგარიშები

1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული მარაგის გამოყენების, აღრიცხვის და მართვის მდგომარეობა” - №07-10/16256 -26.12.2012წ. -თვა წულუკიანს, არჩილ კვიციანი.
2. „თიღვის, ქურთის და ერედვის დევნილი მოსახლეობის წერილები კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებით” - №07-10/16265-26.12.2012წწ. - არჩილ კვიციანი.
3. „სოფელ გორელოვკაში მცხოვრებ ეკომიგრანტთა საჩივარი” - №07-10/16763-28.12.2012წწ. - თვა წულუკიანს, არჩილ კვიციანი.
4. საფინანსო დეპარტამენტის უფროსის კობა ხუბუნაიას სისხლის სამართლის ნიშნების შემცველი ინფორმაცია პრემიების გაცემასთან დაკავშირებით - N06-06/23201, 19/02/2013 - არჩილ კვიციანი.
5. სსიპ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა თემის განვითარების ცენტრი” - №02-01-11/31542- 25.04.2013წწ.-არჩილ კვიციანი.
6. „თიღვის მუნიციპალიტეტი” - №07-10/48011- 17.10.2013წწ.-არჩილ კვიციანი.
7. გიზო გარუჩავას საქმე- №07-10/45735- 18.09.2013წწ. - არჩილ კვიციანი.
8. ვანის ქუჩა №7 უკანონოდ დაკანონება -№07-10/35341- 31.05.2013წწ. - არჩილ კვიციანი.
9. „აჭარის მუნიციპალიტეტი”-№07-10/35340- 31.05.2013წწ. - არჩილ კვიციანი.
10. „ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში (დანართი 70 გვერდი) - №07-10/46293 -- -არჩილ კვიციანი.
11. დევნილთათვის სტატუსის გაცემაზე აღმოჩენილი სისხლის სამართლის შემცველი დოკუმენტაცია - 15 დევნილი -201 გვერდი -არჩილ კვიციანი.
წერილი N07-10/45093 - 09.09.2013;
12. დევნილთათვის სტატუსის გაცემაზე აღმოჩენილი სისხლის სამართლის შემცველი დოკუმენტაცია - 27 დევნილი - 196 გვერდი -არჩილ კვიციანი.
წერილი N07-10/48938 – 30.10.2013;
13. დევნილთათვის სტატუსის გაცემაზე აღმოჩენილი სისხლის სამართლის შემცველი დოკუმენტაცია - 63 დევნილი - 399 გვერდი -არჩილ კვიციანი.
წერილი N07-10/49855 – 11.11.2013;
14. დევნილთათვის სტატუსის გაცემაზე აღმოჩენილი სისხლის სამართლის შემცველი დოკუმენტაცია - 25 დევნილი - 211 გვერდი - ოთარ ფარცხალაძეს.
წერილი N07-10/52054 - 28.11.2013;
15. დევნილთათვის სტატუსის გაცემაზე აღმოჩენილი სისხლის სამართლის შემცველი დოკუმენტაცია - 58 დევნილი - 589 გვერდი - ოთარ ფარცხალაძეს.
წერილი N07-10/53724 – 16.12.2013;